საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-530

13/06/2019

ქ. თბილისი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის „ქ. ბორჯომის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის პროექტზე“ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 8 ოქტომბრის №ი-272 ბრძანებისა და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 თებერვლის №ი-112 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2019 წლის 27 მარტს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ და ითხოვა სამინისტროს მიერ 2012 წლის 4 ოქტომბრის №40 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქ. ბორჯომის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №40 04.10.2012). 2016 წელს ერთობლივი განცხადების საფუძველზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გადაეცა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“.

განცხადების თანახმად, ნაგავსაყრელზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპანიამ შეწყვიტა ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია, განახორციელა დახურვა და დახურვის შემდგომი ღონისძიებები. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის „ქ. ბორჯომის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის პროექტზე“ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 8 ოქტომბრის №ი-272 ბრძანება და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის

გამგეობაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 თებერვლის №ი-112 ბრძანება;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი